

საკვირაო სკოლების მნიშვნელობა

მოგეხსენებათ, რომ ჩვენის ღარიბი ქვეყნისათვის სამუდამო სკოლა - რთული და ძვირფასი დაწესებულებაა. ამ გვარ დაწესებულებათათვის ჩვენ, ქართველები, ჯერედ საკმაოდ არა ვართ მომზადებულნი არც ცოდნით, არც ჯიბით და არც მხნეობით. ამიტომაც ჩვენში სამუდამო სკოლის დაფუძნება არ არის ხშირი მოვლენა.

იმ ქვეყნებში, რომელნიც ჩვენსავით ხელმოკლენი არიან, უმცირესი წამლად, სამუდამო სკოლის გარდა, მოგონილია ერთი მეტად ადვილი და მეტად იაფი ღონისძიება, ჩვენ ვამბობთ საკვირაო სკოლებზედ.

თვითონ სახელი ამ სკოლისა აჩვენებს, რომ სწავლა მხოლოდ კვირაობით და უქმე დღეობით იმართება. საკვირაო სკოლები იხსნება იმ მოზრდილ ყრმათათვის, რომელმაც სამუდამო სკოლა არ ღირსებიათ, და დიდებისათვის, რომელიც სწავლის წადილს მოკლებულნი არ არიან. ამ სკოლებში დაიარებიან როგორც მამრობითი სქესის პირნი, ისე მდედრობითისა. მოსწავლენი იკრიბებიან და სწავლა იმართება სამუდამო სკოლების კლასებში, რომელსაც ამ სკოლის მთავრობა დიდი სიამოვნებით უთმობს, რადგანაც კვირაუქმით საკლასო ოთახები ცარიელები არიან. სწავლას საკვირაო სკოლებში კისრულობენ მასწავლებლები და სხვა განათლებულნი პირნი, რომელთაც ემარჯვებათ გაკვეთილების მიცემა. კურსი ამ სკოლებისა მარტივია. ასწავლიან მხოლოდ წერა-კითხვასა, პირველდაწყების ანგარიშსა, საღვთო ისტორიასა. რადგანაც საკვირაო სკოლებში მოსიარულენი მომზადებით სხვა-დასხვა ხარისხზედ დგანან, ამიტომ ყოველი საკვირაო სკოლა იყოფება რავდენსამე განყოფილებად. ზოგს საკვირაო სკოლაში ათამდის განყოფილება იმართება.

ღარიბი საზოგადოებისათვის საკვირაო სკოლა ძლიერ მოხერხებული დაწესებულებაა. იგი ხარჯს მეტად მცირედს ითხოვს. სახლს ყოველი მუდმივი სკოლის მთავრობა უფასოდ უთმობს საკვირაო ვარჯიშობისათვის, მასწავლებლებიც უფასოდ ასწავლიან, ხარჯს ითხოვს მხოლოდ ბიბლიოთეკის დაარსება საკვირაო სკოლასთან და სამოსწავლო ნივთების ყიდვა. საკვირაო სკოლა სიიაფესთან ადვილიც არის, და მისი წარმოება გაუჭირვებლივ შეუძლიანთ იმ გვარ მოცლილ პირთაც, რომელნიც სისტემატიურს შრომას და მხნეობას ნაკლებად არიან მიჩვეულნი და რომელთაც კვირაში ერთი დღე მაინც შეუძლიანთ ნაყოფიერად იშრომონ. არც ერთს ნასწავლ პირს არ გაუძნელდება კვირაში ორიოდუე საათი შესწიროს საკვირაო სკოლის გაკვეთილებსა. მოსწავლეთათვისაც ადვილია, რადგანაც ისინი კვირაობით სწავლის გამო ყოველ დღიურს მუშაობას ერთს საათსაც არა სცდებიან და კაპეიკსაც არა ჰკარგავენ თავისი შრომის ფასიდან. მაგრამ რა ნაყოფი უნდა გამოიღოს სწავლამ, რომელიც იმართება მხოლოდ კვირა-უქმით ? გვკითხავენ ბევრნი. თუ სახეში ვიქონიებთ იმ გარემოებასა, რომ საკვირაო სკოლაში უმეტესად დადიან მოზრდილნი პირნი, რომელთაც სწავლის სარგებლობა ესმით და გულით არიან მოწადინებულნი შეიძინონ იგი, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ მასწავლებლები საკვირაო სკოლისა მოწაფეებს უნიშნავენ მთელი კვირის სავარჯიშოსა, რომელსაც ესენი ყოველ დღე

თავისუფალ დროს ახმარებენ, - მაშინ ჩვენ უნაყოფო დაწესებულებად არ ჩავთვლით საკვირაო სკოლასა.

პრაქტიკამ უკვე დაამტკიცა, რომ საკვირაო სკოლა, თუმცა იაფი და ადვილი ღონისძიებაა, მაგრამ ნაყოფი სწორედ თვალსაჩინო მოაქვს. რუსეთშიაც არა ერთხელ გამოთქმულა ეჭვი შესახებ ამ გვარი სკოლის სარგებლობისა და ვარგისიანობისა. ამ ეჭვს დიდ ხანს საფუძვლიანად სთვლიდნენ რუსა საზოგადოებაში, ვიდრე ხარკოვის საკვირაო სკოლის მაგალითმა არ დაარღვია იგი სრულიად. საკვირაო სკოლა ხარკოვში არსებობს აგერ თხუთმეტი წელიწადია და ისეთი თვალსაჩინო სარგებლობა მოაქვს ქალაქისათვის, რომ სამას-ოთხასობით ჰყავს მას მოწაფენი. განსვენებულმა გამოჩენილმა რუსის პედაგოგმა ბარონ კორფმა კარგად გაიცნო ნაყოფი ამ სკოლისა და მთელს რუსეთს აცნობა ეს, იმ განზრახვით, რომ სხვა ქალაქებშიაც აღმოჩენილიყვნენ ხარკოვის საკვირაო სკოლის მიმბაძავნი. კორფს გამოეცადა მოწაფენი ხარკოვის სკოლისა, რომელრთაც სამის წლიდგან ხუთს წლამდის ევლოთ სკოლაში, ისიც არა გამუდმებით, არამედ ხამუშ-ხამუშ, და აღმოჩენილიყო, რომ ყოველს მათგანს მშვენივრად შეეთვისებინა წერა-კითხვა, არითმეტიკის ოთხი მოქმედება, საღვთო ისტორია, მოკლე კატეხიზმი და ჯეროვანი ახსნა ბუნების მოვლენათა. ყველაზედ სასიამოვნო და საყურადღებო ის არისო, ამბობს კორფი, რომ სკოლას მოწაფეებში აღუძრავს სიყვარული თვითწავლისა, ცოდნის შეძენისა, და მათ ბიბლიოთეკიდგან ძალიან ხშირდ მიაქვთ წიგნები, კითხულობენ და დღითი-დღე იმატებენ ახალს ცოდნას, იძლიერებენ განვითარებასო.

მკითხველი ხედავს, რავდენად სასარგებლო იქნებოდა, რომ საკვირაო სკოლები ჩვენშიაც დაარსებულიყო. და რა უშლის ? - როგორც მოგახსენებთ, ეს საქმე არც დიდს ჯაფას თხოლობს და არც დიდ ხარჯსა. საჭიროა აქ მხოლოდ თაოსნობა და ცოტაოდენი თანაგრძნობა საზოგადო სიკეთისადმი... ყოველს ჩვენებურს ქალაქში მოიპოება ნასწავლთა დასი, რომელსაც არც ცოდნა აკლია და არც კეთილი მისწრაფებანი. მოიყაროს ერთად თავი ამ დასმა ყოველს ქალაქში, მოილაპარაკოს ამ საქმის დაწყებასა განხორციელებაზედ ამოირჩიოს საქმის მმართველად, ანუ სკოლის ინსპექტორად, რომელიმე განვითარებული და სწავლის ხელობაში გამოცდილი პირი, მიიწვიოს მასწავლებლებად მომზადებულნი ვაჟნი, თუ ქალნი, რომელნიც თვითთულად მხოლოდ ერთს-ორს საათას კვირაში მოანდომებენ ამ საქმესა, მოაგროვოს რავდენიმე ასი მანეთი სკოლის ბიბლიოთეკის დაარსებისათვის და საჭირო სამოსწავლეო ნივთების მოპოვებისათვის თუ ხელის მოწერით, თუ სპექტაკლების და სალიტერატურო საღამოების გამართვით, სთხოვოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ იკისროს თავის თავზედ სკოლის გახსნა, მისი მართვა, საქმე გაკეთებული იქნება. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენში საკვირაო სკოლები იხეირებენ, დღეგრძელნი იქნებიან და ძლიერ დაეხმარებიან წერა-კითხვის ცოდნის გავრცელებას მდაბიო ხალხში.